



ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“05” ივლისი 2018 წელი

N 38/36 ეგზ:2

“პაპტიკიძე”

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი კეკელიშვილი

საქართველოს ცენტრალური
საარჩევნო კომისია

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისათვის

სარჩევი

ინფორმაცია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შესახებ	3
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	4
1.1 უარყოფითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	4
1.2 უარყოფითი მოსაზრების საფუძველი	4
1.2.1 სხვა მატერიალური მარაგები	4
1.2.2 ნაშთების კორექტირება	4
1.2.2 სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება.....	5
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	6
2.1 კონტროლის სისუსტეები	6
2.2 შრომის ანაზღაურება - დანამატები.....	6
3. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	7
4. აუდიტორის პასუხისმგებლობა	7
ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება.....	9
ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება.....	10
ფორმა N3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება	11
ფორმა N4. კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება	12
ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხის შედარების ანგარიშგება.....	13
ცესკო-ს განმარტებითი შენიშვნები	14

ინფორმაცია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შესახებ

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია შედგება:

-)/ ცესკოსა და მისი აპარატისგან (საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია);
-)/ უსკოსა და მისი აპარატისგან (აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საარჩევნო კომისია);
-)/ საოლქო საარჩევნო კომისიებისგან;
-)/ საუბნო საარჩევნო კომისიებისგან.

ცესკო უზრუნველყოფს არჩევნების, რეფერენდუმის, პლებისციტის მომზადებასა და ჩატარებას, საქართველოს მოქალაქეთა საარჩევნო უფლების სრულ და განუხრელ განხორციელებას, აგრეთვე თავისი უფლებამოსილების ფარგლებში აკონტროლებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საარჩევნო კანონმდებლობის ერთგვაროვან გამოყენებას.

თავის საქმიანობაში იგი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით - „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, საქართველოს სხვა კანონებით, კანონქვემდებარე აქტებითა და რეგლამენტით, რომელსაც დადგენილებით იღებს ცესკო.

რეგლამენტი განსაზღვრავს ცესკოს უფლებამოსილებათა განხორციელების წესს, პროცედურას, ცესკოს აპარატის სტრუქტურას.

ცესკო შედგება ცესკოს თავმჯდომარისა და ცესკოს 11 წევრისაგან.

არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფის, ასევე ცესკოს საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით იქმნება და ფუნქციონირებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატი, რომლის სტრუქტურა, საქმიანობის წესი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და ცესკოს რეგლამენტით. აპარატს საერთო ხელმძღვანელობას უწევს ცესკოს თავმჯდომარე.

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობას

1.1 უარყოფითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (შემდგომში - ცესკო) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ დანართებს¹ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად არ ასახავს ცესკოს ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას, დასრულებულს აღნიშნული პერიოდისთვის, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

1.2 უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

1.2.1 სხვა მატერიალური მარაგები

ცესკოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაშთად ირიცხება წინა წლებში შეძენილი 4,843,817 ლარის ოდენობის მატერიალური მარაგები, საიდანაც 3,584,943 ლარის (74%) ოდენობის მარაგების არსებობის შესახებ ვერ იქნა წარმოდგენილი საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, ვინაიდან ნაწილი აღნიშნული მარაგებისა არის 2008 წლამდე შეძენილი და არ არის საინვენტარო მონაცემები, არ იძებნება აქტივების ექსპლუატაციაში გაცემის პირველადი დოკუმენტები, ბალანსში მარაგების ნაშთი წარმოდგენილია ჯამურად და არ არის გაშიფრული. ხოლო ცესკოს განმარტებით, 2008 წლიდან მოყოლებულ პერიოდზე, მუშავდება პირველადი დოკუმენტაცია მარაგების გაშიფვრის მიზნით.

შესაბამისად, ვერ მივიღეთ რწმუნება ფინანსურ ანგარიშგებაში, ფორმა N1-ში ასახული მატერიალური მარაგების - 3,585,465 ლარის ოდენობის ნაშთის არსებობაზე, სისრულესა და სიზუსტეზე.

1.2.2 ნაშთების კორექტირება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, მატერიალური მარაგების 4,631,115 ლარის ოდენობის საწყისი ნაშთი მიმდინარე წელს შემცირებულია 318,299 ლარის ოდენობის გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ღირებულებით, რაც რეალურად წარმოადგენდა წინა წლებში ბუღალტრულად შეცდომით აღრიცხულ გრძელვადიან მცირეფასიან აქტივებს, რომელიც ნაცვლად საწყისი ნაშთის კორექტირებისა, ბუღალტრულად აღირიცხა მიმდინარე წელს და შეამცირა 2017 წლის საბოლოო ნაშთი.

¹ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება, დანართები 1-დან 13-მდე.

შედეგად, ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მატერიალური მარაგების და კაპიტალის ანგარიშგებზე ნაშთები 318,299 ლარით ზედმეტად არის წარმოდგენილი.

ანალოგიურად, წინა წლების მაკორექტირებელი გატარებებისას არ იყო დაცული აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნები², შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში შემცირებულად არის წარმოდგენილი შემდეგი ანგარიშების საწყისი ნაშთები:

- ┐ არასაცხოვრებელი შენობები - 33,018 ლარით;
- ┐ მიწა - 177,116 ლარით;
- ┐ კაპიტალი (წმინდა ცვლილება) - 17,940 ლარით.

ხოლო ზედმეტი ოდენობით არის წარმოდგენილი შემდეგი ანგარიშების საწყისი ნაშთები:

- ┐ სხვა მატერიალური მარაგები - 140,560 ლარით;
- ┐ სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი - 51,634 ლარით;

1.2.2 სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანების 2,990,821 ლარის ნაშთი მოიცავს 2,959,315 ლარის ოდენობის 1996-2003 წლებში წარმოშობილ კრედიტორულ დავალიანებას. აღნიშნული ნაშთის დადასტურების მიზნით, 2017 წელს კრედიტორების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები 2,950,315 ლარის ოდენობის ხანდაზმული კრედიტორული დავალიანების არსებობასა და სისრულეზე.

აუდიტს წარვმართავდით უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ითვალისწინებს, დეტალურადაა აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ვართ ცესკო-სგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ს მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია უარყოფითი მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

²„საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-14 მუხლის „შეცდომების გასწორება“ მე-6 პუნქტი, მე-8 პუნქტი და მე-12 პუნქტი.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 კონტროლის სისტემები

ორგანიზაციაში ინვენტარიზაცია უზრუნველყოფს აქტივებზე კონტროლს, აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას და მათ ეფექტიან მართვას.

ცესკოს 2011 წლის შემდგომ არ ჩატარებია კანონმდებლობით³ განსაზღვრული სავალდებულო ინვენტარიზაციები, რის გამოც მოკლებულია შესაძლებლობას - განახორციელოს აქტივებისა და ვალდებულებების ზუსტი და სრული აღრიცხვა, რაც კონტროლის მექანიზმების მნიშვნელოვან სისტემაზე მიუთითებს.

2.2 შრომის ანაზღაურება - დანამატები

ცესკოს 2017 წლის შრომის ანაზღაურების მუხლში ბიუჯეტით დამტკიცებულმა თანხამ შეადგინა 25,666,960 ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა 25,404,811 ლარი.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, დანამატის კატეგორია მოიცავს არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა დანამატს, მათ შორის, განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის საზღაურს. დანამატი გაცივმა შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი ეკონომიის ფარგლებში და უნდა დასაბუთდეს თითოეული მოხელის მიერ შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაო ან განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვა. საარჩევნო პერიოდში ცესკოს თანამშრომლებზე დანამატები გაცემულია მოტივით - „ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით“, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მოხსენებითი ბარათების და ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებების საფუძველზე.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-9 მუხლის (შრომის ანაზღაურება) პირველი პუნქტის თანახმად, საარჩევნო/სარეფერენდუმო პერიოდში, გარდა შუალედური არჩევნების პერიოდისა, ცესკოს და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებსა და ხელმძღვანელ პირებს, ასევე ცესკოს აპარატის თანამშრომლებს ეძლევათ თანამდებობრივი სარგოს ორმაგი ოდენობა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით, საარჩევნო პერიოდი განისაზღვრა 22 აგვისტოდან 24 ნოემბრის ჩათვლით. კანონმდებლობის შესაბამისად, საარჩევნო პერიოდში თანამდებობრივი სარგოები გაცემულია ორმაგი ოდენობით. საარჩევნო პერიოდში ყველა შტატთან და შტატგარეშე თანამშრომლებზე, ასევე გაცემულია დანამატები სარგოს ტოლი ოდენობით სულ - 1,772,843 ლარი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საარჩევნო პერიოდში ცესკოს თანამშრომლებზე გაცემული აქვს როგორც სარგოს ორმაგი ოდენობა, ასევე იმავე ოდენობით დანამატი. იმის გამო, რომ საარჩევნო კოდექსი არ აკონკრეტებს დეტალურ მოტივს, თუ რისთვის არის საარჩევნო პერიოდში განსაზღვრული ხელფასის ორმაგი ოდენობით გაცემა, გაურკვეველი რჩება, დანამატი კიდევ რაიმე სხვა ზეგანაკვეთური სამუშაოსთვის გაიცა, რაც ორგანული კანონით არ იყო განსაზღვრული, თუ იმავე სამუშაოს კომპენსირებაა, რაც ორმაგი სარგოთი ისედაც ანაზღაურდა.

³საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“.

3. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად. ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ერთეულის ფუნქციონირებადობის (საჯარო მომსახურების უწყვეტად მიწოდების) უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განზრახულია ერთეულის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან ასეთი ქმედების რეალური ალტერნატივა არ არსებობს.

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. ამასთანავე, ჩვენ:

- 1) ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;
- 2) შევისწავლით აუდიტისათვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელების მიერ ანგარიშების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვადგენთ არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ფუნქციონირებადობასთან (უწყვეტობასთან) დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, სადაც აღწერილია აღნიშნული განუსაზღვრელობები, ან თუ ამგვარი შენიშვნები ადეკვატური არ არის, გამოვთქვათ მოდიფიცირებული მოსაზრება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს, თუმცა, აუდიტის დასკვნის თარიღის შემდგომი მოვლენების ან პირობების გავლენით, შესაძლოა აღარ იყოს ფუნქციონირებადი ერთეული;
- ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა ხელმოწერა

სახელი, გვარი

გურამ ყავლაშვილი

წამყვანი აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი

თენგიზ გურასაშვილი




უფროსი აუდიტორი

ლაშა ჭანტურიშვილი

უფროსი აუდიტორი

თეიმურაზ გოდუაძე

აუდიტორი

ხელმოწერა	თარიღი
	05.07.2018წ.
	05.07.2018წ.
	05.07.2018წ.
	05.07.18წ.

ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება

დასახელება	31.12.2017	31.12.2016
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფულადი სახსრები	2,471	1
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	902	202
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	459,775	2,618,790
სხვა მატერიალური მარაგები	4,631,115	4,843,817
სულ მოკლევადიანი აქტივები	5,094,263	7,462,810
გრძელვადიანი აქტივები		
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	181,404	83,341
ძირითადი აქტივები	12,318,053	10,973,381
არაწარმოებული აქტივები	423,296	246,180
სულ გრძელვადიანი აქტივები	12,922,753	11,302,902
ბალანსი	18,017,016	18,765,712
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები		
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	2,990,821	2,978,309
სულ ვალდებულებები	2,990,821	2,978,309
კაპიტალი		
აქტივების წმინდა ღირებულება	15,026,195	15,787,403
სულ კაპიტალი	15,026,195	15,787,403
ბალანსი	18,017,016	18,765,712

ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება

დასახელება	31.12.2017 (საანგარიშო წელი)			31.12.2016 (საანგარიშო წლის წინა წელი)
	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	სულ	
ბიუჯეტიდან დაფინანსება	57,700,017		57,700,017	63,741,250
შემოსავლები	65,205		65,205	20,564
გრანტები	63,841		63,841	16,943
სხვა შემოსავლები	1,364		1,364	3,621
გ. სანქციები, ჯარიმები, საურავები	1,364		1,364	3,621
სულ:	57,765,222		57,765,222	63,761,814
ხარჯები				
მომუშავეთა ანაზღაურება	25,404,409		25,404,409	33,120,634
საქონელი და მომსახურება	8,322,954		8,322,954	9,595,833
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	830,055		830,055	846,913
გრანტები	16,789		16,789	711,594
სოციალური უზრუნველყოფა	52,684		52,684	39,569
სხვა ხარჯები	23,682,749		23,682,749	17,293,793
სულ:	58,309,640		58,309,640	61,608,336
ფინანსური შედეგი	(544,418)	-	(544,418)	2,153,478

ფორმა N3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება

დასახელება	ხაზინის ერთიანი ანგარიში	საკუთარი ფულადი სახსრები	სულ
წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	(761,208)		(761,208)
კორექტირებები:	2,846,429		2,846,429
ცვეთა (+)	830,055		830,055
აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+)	(231,160)		(231,160)
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	212,702		212,702
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (-/+)	(98,063)		(98,063)
დებიტორული დავალიანების ზრდა/კლება (-/+)	2,149,983		2,149,983
კრედიტორული დავალიანების ზრდა/კლება (+/-)	(17,088)		(17,088)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან³	2,085,221		2,085,221
არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-		-
არაფინანსური აქტივების შესყიდვა	2,082,753		2,082,753
ძირითადი აქტივები	2,082,753		2,082,753
წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან	(2,082,753)		(2,082,753)
ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება	2,468	-	2,468
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	1	-	1
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	2,471	-	2,471

ფორმა N4. კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

დასახელება	2017 (საანგარიშო წელი)	
	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა სულ
საწყისი ნაშთი	15,787,403	15,787,403
საადრიცხო პოლიტიკის ცვლილებები		
წინა პერიოდ(ებ)ის შეცდომები		
გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი		
არასაოპერაციო შემოსავლები	520,133	520,133
კურსთაშორისი სხვაობით მიღებული შემოსავალი	33,601	33,601
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	486,532	486,532
არასაოპერაციო ხარჯები	731,840	731,840
კურსთაშორისი სხვაობით მიღებული ზარალი	3,506	3,506
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	728,334	728,334
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები	5,083	5,083
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	5,083	5,083
მოგების გადასახადი		-
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	(544,418)	(544,418)
ნაშთი წლის ბოლოს	15,026,195	15,026,195

ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხის შედარების ანგარიშგება

დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახრა % დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის	საკასო ხარჯი	გადახრა % დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯს შორის	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ და საკასო ხარჯს შორის
ხარჯები	52,434,860	56,575,469	7.90%	55,598,279	-1.73%	58,309,640	2,711,361
მათ შორის:							
შრომის ანაზღაურება	25,666,960	25,415,120	-0.98%	25,404,811	-0.04%	25,404,409	-402
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,577,200	2,326,230	47.49%	2,082,753	-10.47%		-2,082,753
ვალდებულებების კლება		1,907	0.00%	18,985	895.54%		-18,985

ცესკო-ს განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად. ანგარიშგების საანგარიში პერიოდია 2017 წლის 12 თვე, 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში - ლარში, დამრგვალება განხორციელებულია ლარამდე.

ბალანსის აქტივი ტოლია ბალანსის პასივის და შეადგენს 18 017 016 ლარს.

აქტივები და მოთხოვნები:

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები -

1240 ანგარიშზე ასახულია 2471 ლარი, მიზნობრივი გრანტიდან დარჩენილი აუთვისებელი ნაშთი.

ფინანსური აქტივები და მოთხოვნები -

1367 ანგარიშზე ასახულია 902 ლარი, უკან მობრუნებულ თანხებზე ზედმეტად გადახდილი სამემოსავლო გადასახადი.

1431 ანგარიშზე ასახული 151,645 ლარი, 2017 წელს ავანსად გადახდილი შენობის სარემონტო სამუშაოების ღირებულება. 20,990 ლარის სამუშაოების დასრულებული და გადახდა დამოწმებულია 2018 წლის იანვარში. ასევე დასრულებული 130,655 ლარზე სამუშაოები - ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, გაფორმებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი და ამჟამად მიმდინარეობს შესრულებული სამუშაოს ექსპერტიზა, რომლის დასრულების შემდგომ დამოწმდება აღნიშნული წინასწარი გადახდა.

1432 ანგარიშზე ასახული 249,853 ლარი, 2017 წელს ავანსად შენობის კაპიტალური რემონტის და ინფორმაციის შესანახი მოწყობილობის ღირებულებები. აქტივი მოწოდებულია იანვარში და შესაბამისად, წინასწარი გადახდა დამოწმებულია, ხოლო შენობის სამუშაოებზე განხორციელდა ექსპერტიზა და მომწოდებლის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნდა ექსპერტიზის შედეგად დადგენილი თანხა.

1440 ანგარიში - 33,830 ლარი, არაფინანსური აქტივით დანაკლისი. 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების დროს, ბოევკების მიერ საარჩევნო კომისიის წევრზე ქ. გორთან განხორციელდა თავდასხმა და გატაცებულ იქნა საარჩევნო კომისიის ბალანსზე რიცხული ავტომაქსანა. დანაკლისის ანგარიშზე რიცხულ დავალიანებებზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც ჯერ არ არის დასრულებული.

1460 ანგარიში - 12,807 ლარი, დავალიანების წარმოშობის მიზეზია. 1995 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩასატარებლად საზღვარგარეთ მივლინებული 18 პირის დავალიანება, რომლის ამოღება მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, დღემდე ვერ ხერხდება.

1480 ანგარიში - ასახულია 11,640 ლარი დებიტორული დავალიანებები. 6,489 ლარი დასაბრუნებელია ბიუჯეტში პოლიტიკური გაერთიანება - მოძრაობა „ერთიანი საქართველოს (ხალხის პარტია)“ მიერ. აღნიშნულ პოლიტიკურ გაერთიანებასთან საქმე სასამართლოში მოგებულია ცესკოს სასარგებლოდ და გადაცემულია აღსრულების ბიუროში და 2017 წელს ამოღებულია 128 ლარი; 3,371 ლარი - საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 31 ოქტომბრის და საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 9 აპრილის არჩევნების ჩასატარებლად ქვეყნის საზღვრებს გარეთ შექმნილ საარჩევნო უბნებზე გადარიცხული თანხის აუთვისებელი ნაშთი; 1,428 ლარი - პ/გ „ეროვნული ფორუმის“ მიერ 2017 წლის დაფინანსებიდან დასაბრუნებელი თანხა, რომელიც დაბრუნდა სახელმწიფო ბიუჯეტში 2018 წლის თებერვალში; 352 ლარი - 2017 წლის დეკემბრის

მომსახურებების კორექტირების შედეგად წარმოქმნილი მოთხოვნები, რომელიც დაიფარა 2018 წლის იანვარში.

არაფინანსური აქტივები

ძირითადი აქტივების აღრიცხვა ხდება ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის მოთხოვნათა შესაბამისად. ძირითადი აქტივების მოვლა - შენახვის და ექსპლუატაციის, ასევე მათ მიმდინარე რემონტზე გაწეული დანახარჯები ტარდება ხარჯებში, ხოლო აქტივის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების შემთხვევაში, იზრდება საბალანსო ღირებულება.

მატერიალური მარაგების გასვლა ტარდება ხარჯებში და თვისებებიდან გამომდინარე, აისახება საცნობარო მუხლებში.

არაფინანსური აქტივების ნაშთები დანართი N1-ში ტოლია დანართი N5-ის იმავე მონაცემებს.

ვალდებულებები

3220 ანგარიშზე ასახულია 29,600 ლარი - ევროპის საბჭოს მიერ გამოყოფილი მიზნობრივი გრანტის ფარგლებში მოწოდებული აქტივის ღირებულება, რომელზეც გადახდა განხორციელდა ევროპის საბჭოში წარდგენილი ცესკოს ანგარიშის დამტკიცების შემდგომ, 2018 წლის თებერვალში.

3244 და 3251 ანგარიშები: 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისათვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მოწვეულ პირთა შრომის ანაზღაურება - 41,905 ლარი, ანარიცხები დამქირავებლიდან - 14,111 ლარი. 3251 ანგარიშზე ასევე ასახულია 125 ლარი, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საზღვარგარეთ შექმნილი უზნის წევრების შრომის ანაზღაურების დავალიანება.

3245 ანგარიშზე ასახულია ბიუჯეტის მიმართ ვალდებულება 1,781 ლარი, ბიუჯეტში დასაბრუნებელი თანხები, რომელიც დაბრუნდა 2018 წლის პირველ კვარტალში. აღნიშნული თანხა ასახულია მოთხოვნების 1480 ანგარიშებზე. დანართ N10-ში აღნიშნული თანხა ჩასმულია "სხვა ვალდებულებების" გრაფაში.

3280 ანგარიში - 2,903,299 ლარი, მათ შორის, საადვოკატო მომსახურება - 9000 ლარი; საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის სახელფასო დავალიანება და ანარიცხები დამქირავებლიდან - 2,894,299 ლარი. დავალიანება დაიფარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით დაფინანსების გამოყოფის შემთხვევაში.

ანგარიშების დანართი N3-ით არაფინანსური აქტივების საკასო ხარჯი შეადგენს 2,082,753 ლარს, საიდანაც 249,853 ლარი ავანსად გადახდილი თანხებია და ასახულია 1432 ანგარიშზე. დანართ N5-ში შესყიდვა მიმდინარე პერიოდის გადახდებში ასახულია 1,862,050 ლარი, საიდანაც 1,832,450 ლარი, მიმდინარე პერიოდის გადახდებია. მიმდინარე პერიოდის შესყიდვას გამოკლებული აქვს 450 ლარი, აქტივზე გადახდილი კურსთაშორისი სხვაობა და დამატებულია 29,600 ლარი, მიზნობრივი გრანტის ფარგლებში მოწოდებული აქტივის ღირებულება, რომელზეც გადახდა განხორციელდა 2018 წლის თებერვალში და აღნიშნული თანხა ასახულია ვალდებულებების 3220 ანგარიშზე. კურსთაშორისი სხვაობის თანხა 450 ლარი გათვალისწინებულია ცესკოს ფინანსური ანგარიშების ფორმა N3-ში აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღებაში.

საკასო და ფაქტობრივი ხარჯები

2017 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 01 იანვრამდე სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 57,700,017 ლარი, მათ შორის, ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით - 55,598,279 ლარი, ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების მიხედვით - 2,082,733 ლარი. „ვალდებულების კლების“ მუხლიდან გადახდამ შეადგინა 18,985 ლარი, ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა - 58,309,640 ლარი. შრომის ანაზღაურების გადახრა საკასო და ფაქტობრივ ხარჯს შორის შეადგენს 402 ლარს, რაც გამოწვეულია 2017 წელს მობრუნებულ თანხებზე გადახდილი საშემოსავლო გადასახადით. ასევე „შტატგარეშე მომუშავეთა“ მუხლში სხვაობა საკასო და ფაქტობრივ ხარჯებს შორის შეადგენს 189 ლარს, რაც გამოწვეულია 2017 წელს მობრუნებულ თანხებზე გადახდილი საშემოსავლო გადასახადით. შესაბამისად, ეს თანხები ასახულია მოთხოვნების 1358 ანგარიშზე.

სხვა ხარჯების მუხლში სხვაობა საკასო და ფაქტობრივ ხარჯებს შორის შეადგენს 2,332,826 ლარს, რომელიც წარმოადგენს 2017 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით მოთხოვნების 1470 ანგარიშებზე საოლქო საარჩევნო კომისიებზე 2016 წელს გადარიცხულ და დასამოწმებელ თანხებს, რომელიც დამოწმდა 2017 წლის იანვარში.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიმდინარეობს სასამართლო პროცესები. შედეგად, შესაძლებელია, ცესკოს გადასახდელად დაეკისროს 15,400 ლარი, ხოლო ცესკოს სასარგებლოდ საჭირო გახდეს - 4,195 ლარის გადახდა.

საარჩევნო კომისიის სრული ნაერთი - ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, ხოლო სააღრიცხვო პოლიტიკა უცვლელად გამოიყენება მთლიანი პერიოდის განმავლობაში.

ცესკო ხელმძღვანელობს „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციით, რომელიც დამტკიცებულია 2014 წლის 31 დეკემბრის საქართველოს ფინანსთა მინისტრის N429 ბრძანებით.

ორგანიზაცია ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ ხელმძღვანელობს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით.

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ასიგნებების ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯების შესაბამისი მოცულობით. ხარჯები გაწეულია ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების და ევროპის საბჭოდან მიღებული მიზნობრივი გრანტების ფარგლებში.

დანართი 1. ინფორმაცია ორგანიზაციის აქტივების, ვალდებულებების ანგარიშებსა და საცნობარო მუხლებზე არსებული ნაშთების შესახებ

აქტივები	31/12/2017	31/12/2016
I. ფინანსური ორგანიზაციის აქტივების		
ანგარიში მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის	2,471	1
სხვა საგადასახადო აქტივი	902	202
მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	151,645	
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	249,853	258,183
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	33,830	32,400
მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის გარეთ	12,807	12,807
მომუშავეების მიმართ სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		811
მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით		2,304,601
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	11,640	9,988
სულ ფინანსური აქტივები და მოთხოვნები:	463,148	2,618,993
II. არაფინანსური აქტივები		
ფულადი დოკუმენტები	17,231	17,231
სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	4,613,884	4,826,586
არასაცხოვრებელი შენობები	9,778,688	8,830,204
სატრანსპორტო საშუალებები	581,497	201,258
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	1,440,510	1,559,378
არამატერიალური ძირითადი აქტივები	517,358	382,541
ტექნიკა	157,527	77,136
ინვენტარი	23,877	6,205
მიწა	423,296	246,180
სულ არაფინანსური აქტივები:	17,553,868	16,146,719
სულ აქტივები და მოთხოვნები:	18,017,016	18,765,712
III. ვალდებულებები		
საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები		16,822
არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	29,600	
გადასახდელი სხვა გადასახდელები	14,111	14,111
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	1,781	1,013
შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	42,030	43,045
სხვა დარიცხული მოკლევადიანი ვალდებულებები	2,903,299	2,903,318
სულ ვალდებულებები:	2,990,821	2,978,309
წმინდა ღირებულება	15,026,195	15,787,403
სულ კაპიტალი:	15,026,195	15,787,403
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	18,017,016	18,765,712
საცნობარო მუხლები		
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	219,666	267,260
ამორტიზებული ძირითადი აქტივები	4,494,513	3,321,657
ვადაგადაცილებული დავალიანებები	2,990,821	2,978,309
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	1,155,660	676,627

დანართი 2. ორგანიზაციის ანგარიში შემოსავლების და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

შემოსავლების და ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული ბიუჯეტით	დაზუსტებული ბიუჯეტით	ვალდებულება	საკასო	ფაქტობრივი
1. შემოსავლები				2,471	65,205
1.2 გრანტები				2,471	63,841
1.3 სხვა შემოსავლები					1,364
1.3.3 სანქციები, ჯარიმები, საურავები					1,364
2. ხარჯები	52,434,860	56,575,469	55,688,840	55,598,279	58,309,640
2.1 შრომის ანაზღაურება	25,666,960	25,415,120	25,412,394	25,404,811	25,404,409
2.1.1 ხელფასები	-	-	25,412,394	25,404,811	25,404,409
2.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	-	-	25,412,394	25,404,811	25,404,409
2.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო			21,800,136	21,793,441	21,793,039
2.1.1.1.3 პრემია			1,492,958	1,492,070	1,492,070
2.2 საქონელი და მომსახურება	9,623,600	9,170,054	8,803,882	8,785,868	8,322,954
2.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება			2,422,895	2,420,898	2,420,709
2.2.2 მივლინებები			354,526	350,968	350,968
2.2.3 ოფისის ხარჯები			3,345,157	3,332,698	2,893,767
2.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები			224,429	224,429	228,194
2.2.6 სამედიცინო ხარჯები			1,001	1,001	1,001
2.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები			71,000	71,000	71,699
2.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა- შენახვის ხარჯები			227,645	227,645	227,645
2.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება			2,157,229	2,157,229	2,128,971
2.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება					830,055
2.6 გრანტები	5,000	32,500	4,993	4,993	16,789
2.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს			4,993	4,993	4,993
2.6.2.1 მიმდინარე			4,993	4,993	4,993

2.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს					11,796
2.6.3.1 მიმდინარე					11,796
2.7 სოციალური უზრუნველყოფა	30,000	53,840	53,817	52,684	52,684
2.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	-	-	53,817	52,684	52,684
2.7.3.1 ფულადი ფორმით			53,817	52,684	52,684
2.8 სხვა ხარჯები	17,109,300	21,903,955	21,413,755	21,349,923	23,682,749
2.8.2 სხვადასხვა ხარჯები	-	-	21,413,755	21,349,923	23,682,749
2.8.2.1 მიმდინარე			21,413,755	21,349,923	23,682,749

დანართი 3. ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით ფაქტობრივი (საკასო) ოპერაციების შესახებ

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული ბიუჯეტი	ვალდებულება	საკასო
1. არაფინანსური აქტივების ზრდა	1,577,200	2,326,230	2,082,753	2,082,753
1.1 ძირითადი აქტივები	1,577,200	2,326,230	2,082,753	2,082,753
1.1.1 შენობა-ნაგებობები			1,095,441	1,095,441
1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები			1,095,441	1,095,441
1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი			945,845	945,845
1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები			364,695	364,695
1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი			581,150	581,150
1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები			41,467	41,467
1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები			41,467	41,467
1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები			41,467	41,467

დანართი 4. ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	დამტკიცებული ბიუჯეტით	დაზუსტებული ბიუჯეტით	ვალდებულება	საკასო
4. ვალდებულებების კლება		1,907.00	18,986.00	18,985.00
4.1 საშინაო		1,907.00	18,986.00	18,985.00
4.1.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები		1,907.00	18,986.00	18,985.00

დანართი 5. ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	მიღება						გასვლა						ნაშთი წლის ბოლოსათვის	
		შესყიდვა წინა წლების აგანების შემცირებით	შესყიდვა მიმდინარე პერიოდის გადახდებით	ბარტერით	არასაოპერაციო შემოსავლებით	გრანტებით	სხვა მიღებები	ბარტერით	არასაოპერაციო ხარჯები	გრანტებით	სხვა ხარჯებით	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურებით		სხვა გასვლები
1. მატერიალური მარაგები	4,843,817	2,929	1,580,504	-	23,489	34,634	15,004	-	164,049	11,796	5,017	-	1,333,366	355,034	4,631,115
1.2. სხვა მატერიალური მარაგები	4,843,817	2,929	1,580,504	-	23,489	34,634	15,004	-	164,049	11,796	5,017	-	1,333,366	355,034	4,631,115
1.2.5 ფულადი დოკუმენტები	17,231														17,231
1.2.6 სათადარიგო ნაწილები	-		4,287										4,287		-
1.2.7 სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები	4,826,586	2,929	1,576,217		23,489	34,634	15,004		164,049	11,796	5,017		1,329,079	355,034	4,613,884
2. ძირითადი აქტივები	10,973,381	258,183	1,862,050	1,500	280,138	26,736	21,386	1,500	236,721	-	-	830,055	-	37,045	12,318,053
2.1 შენობა- ნაგებობები	8,830,204	-	1,025,588	-	125,519	13,060	-	-	92,501	-	-	111,392	-	11,790	9,778,688
2.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	8,830,204		1,025,588		125,519	13,060			92,501			111,392		11,790	9,778,688
2.2 მანქანა- დანადგარები და ინვენტარი	1,760,636	72,412	794,995	1,500	154,619	13,676	21,386	1,500	127,541	-	-	642,921	-	25,255	2,022,007

2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	201,258	72,412	364,695	1,500	75,626	9,596	1,500	15,545	116,510	10,035	581,497
2.2.2 სხვა მანქანა - დანადგარები და ინვენტარი	1,559,378		430,300		78,993	13,676	11,790	111,996	526,411	15,220	1,440,510
2.3 სხვა ძირითადი აქტივები	382,541	185,771	41,467	-	-	-	-	-	-	-	517,358
2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	382,541	185,771	41,467					16,679	75,742		517,358
3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	83,341		152,066		3,213		355,250	324,988		87,478	181,404
5. არაწარმოებული აქტივები	246,180	-	-	-	179,692	-	-	-	2,576	-	423,296
5.1 მიწა	246,180				179,692			2,576			423,296

დანართი 6. ორგანიზაციის ანგარიში არასაოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დასახელება	არასაოპერაციო შემოსავლები კრედიტი (8100)	არასაოპერაციო ხარჯები დებიტი (8200)
ფინანსური აქტივები	1,945	3,006
ვალუტა დეპოზიტები	501	2,061
სხვა დებიტორული დავალიანებები	1,444	945
ფინანსური ვალდებულებები	31,656	500
სხვა კრედიტორული დავალიანებები	31,656	500

დანართი 7. ინფორმაცია მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსების შესახებ

დასახელება	უცხოურ ვალუტაში	ეროვნულ ვალუტაში	
გრანტის მთლიანი მოცულობა	83,000	180,624	
მ.შ. მიღებული თანხა	83,000	180,624	
მ.შ. სულ დამტკიცებული მოცულობა	83,000	180,624	
მ.შ. უკანასკნელი ჩარიცხვა	83,000	180,624	
დასახელება	გეგმა	საკასო (ფაქტობრივი)	დარიცხული
ნაშთი პერიოდის დასაწყისში		1	1
მიმდინარე წლის მოცულობა		180,624	180,624
სულ (1+2)		180,625	180,625
ხარჯები	180,624	178,154	105,961
საქონელი და მომსახურება	106,624	105,961	105,961
არაფინანსური აქტივების ზრდა	56,151	54,722	
ვალდებულებების კლება	17,849	17,471	
საშინაო	17,849	17,471	

დანართი 8. ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

ანალიზური აღრიცხვის მონაცემები												
დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		საანგარიშო პერიოდში ბოლოს		საანგარიშო პერიოდში გაწეული ფაქტობრივი ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული დარიცხული ხარჯი			
	რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო ნაწილები
სატრანსპორტო საშუალება სულ:	14	201,258	24	581,497	142,240	29,989	107,883	4,368	142,240	29,989	107,883	4,368
მათ შორის												
მსუბუქი	11	125,942	17	331,042	92,586	21,703	69,483	1,400	92,586	21,703	69,483	1,400
ჯიპები და პიკაპები	3	75,316	6	172,255	49,654	8,286	38,400	2,968	49,654	8,286	38,400	2,968
სატვირთო			1	78,200								

დანართი 9. ინფორმაცია ცესკოს ანგარიშზე რიცხული დებიტორულ დავალიანებათა შესახებ.

დასახელება	2018 წლის 1 იანვრისათვის რიცხული დებიტორული დავალიანებები მათ შორის, წარმოშობის წლების მიხედვით					
	სულ	1996-2003წ.	2012 წ	2013 წ	2016 წ	2017 წ
ს უ ლ:	460,677	16,178	6,489	32,400	28	405,582
გადასახდელები (წინასწარ გადახდილი თანხებით წარმოქმნილი დავალიანებები)	902				28	874
საქონელი და მომსახურება	168,175	16,178				151,997
მივლინებები	12,807	12,807				
ოფისის ხარჯები	151,997					151,997
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	3,371	3,371				
სხვა ხარჯები	7,917		6,489			1,428
არაფინანსური აქტივების ზრდა	249,853					249,853
მათ შორის, სხვა მოთხოვნები (გარდა საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული მუხლებისა)	33,830	-	-	32,400	-	1,430
დანაკლისი	33,830			32,400		1430

დანართი 10. ინფორმაცია ცესკოს ანგარიშზე რიცხულ კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ

დასახელება	2018 წლის 1 იანვრისათვის რიცხული კრედიტორული დავალიანებები	მათ შორის, წარმოშობის წლების მიხედვით		
	სულ	1996-2003	2016	2017
სულ:	2,990,821	2,959,315	125	1,381
გადასახდელები	2,990,821	2,959,315	125	31,381
შრომის ანაზღაურება	56,141	56,016	125	
საქონელი და მომსახურება	2,903,299	2,903,299		
ოფისის ხარჯები	9,000	9,000		
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2,894,299	2,894,299		
არაფინანსური აქტივების შეძენა	29,600			29,600
ძირითადი აქტივები	29,600			29,600
მათ შორის, სხვა კრედიტორული დავალიანებები	1,781			1,781
სხვა დანარჩენი ვალდებულებები	1,781			1,781

დანართი 11. ინფორმაცია დებიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში

ორგანიზაციის დასახელება	დებიტის თანხა	წარმ. თარიღი	წარმოშობის საფუძველი	მუხლი	შენიშვნა
მივლინება	12,807	1995 წლის	საპარლამენტო არჩევნები	22	
საქართველოს საელჩო ავსტრიის რესპუბლიკაში	1,699	1995 წლის	საპარლამენტო არჩევნები	22	
საქართველოს საელჩო აშშ-ში	1,568	2000 წლის	საპარლამენტო არჩევნები	22	
გაერო	104	2000 წლის	საპარლამენტო არჩევნები	22	
შპს „ბასო ჯგუფი“	20,990	2017 წელი	შენობის სარემონტო სამუშაოები	22	დამოწმებულია 2018 წლის იანვარში
ამხანაგობა „ალმა-2017“	130,655	2017 წელი	შენობის სარემონტო სამუშაოები	22	
ამხანაგობა „ალმა-2017“	10,690	2017 წელი	შენობის სარემონტო სამუშაოები	31	
შპს „აფიემ კვლევები“	129.00	2017 წელი	დეკემბრის თვის მომსახურების ცვლილება	22	2018 წლის იანვარში დაბრუნდა ბიუჯეტში
სს „სილქნეტი“	223.00	2017 წელი	დეკემბრის თვის მომსახურების ცვლილება	22	2019 წლის თებერვალში დაბრუნდა ბიუჯეტში
ამხანაგობა „ალმა-2017“	59,162	2017 წელი	შენობის მოწყობის სამუშაოები	31	2017 წლის მარტში დასრულდა ექსპერტიზა და მომწოდებლის მიერ ბიუჯეტში მობრუნებული თანხის ასახვის შემდგომ დამოწმდება წინასწარი გადახდა
შპს „იუ-ჯი-თი“	180,000	2017 წელი	სერვერის ღირებულება	31	ავანსი
მოდრაობა ერთიანი საქართველოსათვის	6,489	2012	პარტიის დაფინანსება	28	გადაცემულია აღსრულებაზე
პგ „ეროვნული ფორუმი“	1,428	2017 წელი	პარტიის დაფინანსება	28	დაბრუნებულია 2018 წლის თებერვალში
ჯამი:	425,945				

დანართი 12. ინფორმაცია კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში

ორგანიზაციის დასახელება	კრედიტი თანხა	წარმ. თარიღი	წარმოშობის საფუძველი	მუხლი	შენიშვნა
მოქ. პაატა სიამაშვილი	9,000	2003 წლის საპარლამენტო არჩევნები	საადვოკატო მომსახურება	22	
საოლქო საარჩევნო კომისიები	2,894,299	2003 წლის საპარლამენტო არჩევნები	საოლქო საარჩევნო კომისიების და უბნების შრომის ანაზღაურება		
შპს „ორიენტ ლოჯიკი“	29,600	2017 წელი	აქტივის მოწოდება (მიზნობრივი გრანტი)	31	გადარიცხული ა 2018 წლის თებერვალში
ჯამი:	2,932,899				

დანართი 13. ორგანიზაციის აქტივების/მომსახურების უსასყიდლოდ მიღება/გადაცემის შესახებ

თარიღი	ოპერაციის შინაარსი		გასცა (სახ. ერთეული/ სტრუქტურული ქვედანაყოფი)	მიიღო (სახ. ერთეული/სტ რუქტურული ქვედანაყოფი)	საწყისი (ისტორიული) ღირებულება (ლარი)	საბალანსო (ნარჩენი) ღირებულებ ა (ლარი)	ბუღალტრული ანგარიში	
	აქტივი	მომსახ ურება					დებეტი	კრედიტი
14.05.2017	შენიშვნის ფართი 58.74 კვ.მ		სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო	ცესკო	10,821	10,269	2112	6322
07.07.2017	შენიშვნის ფართი 96.22 კვ.მ		საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	ცესკო	8,091	2,791	2112	6322
27.09.2017	22 ცალი პროექტორი		სწავლების ცენტრი	ცესკო	15,224	7,612	2101	6322
27.09.2017	18 ცალი პროექტორი		სწავლების ცენტრი	ცესკო	12,128	6,064	2101	6322
ჯამი:					46,264	26,736		

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE